

თეა ტეტელოშვილი

„ვიღაცა“ და „რღაცა“ ნაცვალსახელების ბრუნვის ფორმათა მართლწერისათვის თანამედროვე ქართულში

ენა, როგორც მუდმივცვალებადი ფენომენი, წარმოშობს სალიტერატურო ენის მოქმედ ნორმათა პერიოდულად გადახედვა-შემოწმების საჭიროებას. ამ თვალსაზრისით ჩვენ უკვე განვიხილეთ „მე“ და „ღა“ ნაწილაკიან ნაცვალსახელთა მართლწერის საკითხები („ქართული სიტყვის კულტურის საკითხები“, XVI და XVII, თბ. 2016, 2017), ამჟამად კი შევეხებით „ვიღაცა“ და „რღაცა“ განუსაზღვრელობითი ნაცვალსახელების ბრუნვის ფორმებს სალიტერატურო ენის ნორმებთან მიმართებით ენობრივი ტენდენციის გამოვლენის მიზნით. როგორც ცნობილია, „ნორმების“ თანახმად ბრუნების შეხორცეხული წარმოება მიჩნეულია ძირითადად, შეუხორცეხელი და გარდამავალი კი – დასაშვებად [ნორმები 1986: 89]. „ქართული ენის ორთოგრაფიულ ლექსიკონში“ „ვიღაცა“ და „რღაცა“ ნაცვალსახელები წარმოდგენილია შემდეგნაირად:

ვიღაცა // **ვიღაც**: მოთხ. **ვიღაცამ** [// ვიღამაც], მიც. **ვიღაცას**, ვითარ. **ვიღაცად**, ნათ. **ვიღაცის** [//ვიღაცას], მოქ. **ვიღაცით** [// ვიღაცათი]; მრ. **ვიღაცები** [თოფურია... 1998: 277];

რღაცა // **რღაც**: მოთხ. **რღაცამ** [// რღამაც], მიც. **რღაცას** [// რღასაც //რასღაც], ვითარ. **რღაცად** [// რღადაც // რღღაც], ნათ. **რღაცის** [// რღაცასი // რისღაც], მოქ. **რღაცით** // **რღაცათი** [// რღათიცი // რითღაც] [თოფურია... 1998: 426].

ორთოგრაფიული ლექსიკონი, როგორც ჩანს, გვთავაზობს ენაში იმ პერიოდისთვის მოქმედი ტენდენციის შესაბამისად დაზუსტებულ ფორმებს, რამდენადაც მასში აღარ გვხვდება „ვიღაცა“ ნაცვალსახელისთვის მიცემით ბრუნვაში „ნორმებით“ დასაშვებად მიჩნეული „ვისღაც“, „ვიღასაც“, არც ვითარებითის „ვიღადაც“, ხოლო მოქმედებითში ძირითადად მიჩნეული „ვიღაცათი“ ფორმა გატანილია კვადრატულ ფრჩხილებში პარალელურ ვარიანტად, დასაშვები „ვიღათიც“ კი სრულად უგულებელყოფილია.

რაც შეეხება „რადაცა“ ნაცვალსახელს, ნორმების კრებულის თანახმად, ნათესაობითი ბრუნვისათვის ძირითადად მიჩნეული „რადაცასი“ ფორმა ორთოგრაფიულ ლექსიკონში წარმოდგენილია კვადრატულ ფრჩხილებში პარალელურ ვარიანტად.

რამდენადაც „თანამედროვე ქართული სალიტერატურო ენის ნორმებთან“ შედარებით „ქართული ენის ორთოგრაფიული ლექსიკონი“ გვთავაზობს ახალ და დაზუსტებულ ჩანაწერებს, ჩვენ მოქმედ ტენდენციას განვიხილავთ ამ უკანასკნელის მონაცემებთან მიმართებით. ენობრივი მდგომარეობის სტატისტიკური ანალიზისთვის მივმართავთ ქართული ენის ეროვნულ კორპუსსა და გუგლის საძიებო სისტემას. წინამდებარე სტატიაში განვიხილავთ მხოლოდ იმ შემთხვევებს, რომლებიც დადგენილისგან განსხვავებულ ვითარებას გვიჩვენებს.

მასალის სტატისტიკურმა ანალიზმა გამოავლინა, რომ „ვიღაცა“ და „რადაცა“ ნაცვალსახელთა ბრუნვის ფორმების გამოყენების სიხშირე თანამედროვე ქართულში უმთავრესად შეესაბამება „ქართული ენის ორთოგრაფიული ლექსიკონის“ მიერ შემოთავაზებულ ჩანაწერებს, თუმცა გარკვეული საკითხები მაინც საჭიროებს დაზუსტებას. კერძოდ, გამოიკვეთა შემდეგი:

	ზუგლი	ქევი
დასაშვები ვიღამაც ნაკლებია ძირითად ვიღაცამ ფორმაზე	38-ჯერ	108-ჯერ
დასაშვები ვიღაცასი მეტია ძირითად ვიღაცის ფორმაზე	1,6-ჯერ	–
დასაშვები ვიღაცასი ნაკლებია ძირითად ვიღაცის ფორმაზე	–	790-ჯერ
ასევე: აკრძალული ვიღაცეები მეტია ძირითად ვიღაცებზე	2-ჯერ	–
აკრძალული ვიღაცეები ნაკლებია ძირითად ვიღაცებზე	–	1,1-ჯერ

ზემოაღნიშნული მონაცემები გვაკარაუდებინებს, რომ „ვილაცა“ ნაცვალსახელის მართლწერა შესაძლოა გარკვეულწილად დაზუსტდეს. უფრო კონკრეტულად კი დაისმის საკითხი დასაშვებად მიჩნეული „ვილამაც“ ფორმის უგულებელყოფისა მისი გამოყენების ძალიან დიდი იშვიათობის გამო. ასევე უნდა გადაწყდეს (ჩვენი აზრით, დადებითად) „ვილაცასი“ ფორმის კვადრატული ფრჩხილების ნაცვლად მრგვალ ფრჩხილებში პარალელურ ვარიანტად წარმოდგენის შესაძლებლობა, რამდენადაც სასაუბრო მეტყველებაში¹, როგორც ჩანს, ის აღემატება კიდევ ძირითადად მიჩნეულ „ვილაცის“ ფორმას, თუმცა ამავდროულად ბევრად ნაკლებია მასზე კორპუსის მონაცემების მიხედვით. ნორმატიული და აკრძალული ფორმების შეფარდების თვალსაზრისით ანალოგიური ვითარება იქმნება „ვილაცა“ ნაცვალსახელის მრავლობითი რიცხვის ფორმების გამოყენების შემთხვევაშიც, რამდენადაც აქაც ურთიერთსაპირისპირო ვითარებას გვიჩვენებენ გუგლი და კორპუსი. მიუხედავად იმისა, რომ თანამედროვე ქართულ სასაუბრო მეტყველებაში გამოყენების სიხშირით უპირატესობას იძენს არამართებული „ვილაცეები“ ნორმატიული ვარიანტის – „ვილაცების“ – საწინააღმდეგოდ, აღნიშნული არღვევს ენაში მოქმედ ფონეტიკურ თუ მორფოლოგიურ პრინციპებს და, შესაბამისად, სტანდარტიზაცია-ნორმალიზაციის თვალსაზრისით ცვლილების საკითხი მიზანშეწონილად არ მიიჩნევა.

სტატისტიკური კვლევის საფუძველზე ანალოგიურად წარმოიშობა „რადაცა“ ნაცვალსახელის ბრუნვათა ფორმების ორთოგრაფიის დაზუსტების საჭიროება. ამისათვის წარმოვადგენთ მონაცემების შეფარდების შედეგებს.

	გუგლი	ქეიკი
დასაშვები რადამაც		
ნაკლებია ძირითად რადაცამ ფორმაზე	73-ჯერ	20-ჯერ

¹ გუგლი უფრო მეტად უნდა გამოხატავდეს სასაუბრო მეტყველებაში გაჩენილ ტენდენციებს (შდრ., ფორუმებისა თუ ინტერნეტკომენტარების ენა...), ვიდრე ქართული ენის ეროვნული კორპუსი, რომელიც ელექტრონულ პრესასთან ერთად მოიცავს მხატვრული ლიტერატურის ნიმუშებსაც და ამ მიზეზით უფრო ზუსტად მიჰყვება სალიტერატურო ენის ნორმებს.

დასაშვები **რასღაც**
 ნაკლებია ძირითად **რადღაცის** ფორმაზე **6463,8-ჯერ** **6585-ჯერ**

დასაშვები **რადღაცასი**
 მეტია ძირითად **რადღაცის** ფორმაზე **2,4-ჯერ** **-**

დასაშვები **რადღაცასი**
 ნაკლებია ძირითად **რადღაცის** ფორმაზე **-** **2956-ჯერ**

დასაშვები **რისღაც**
 ნაკლებია ძირითად **რადღაცის** ფორმაზე **47428,5-ჯერ** **985-ჯერ**

დასაშვები რიღათიც სულ	16 ერთეული	0 ერთეული
დასაშვები რითღაც სულ	4 ერთეული	0 ერთეული
დასაშვები რადღაც სულ	205 ერთეული	2 ერთეული

ასევე:
 აკრძალული **რადღაცეები**
 მეტია ძირითად **რადღაცებზე** **2,9-ჯერ** **-**

აკრძალული **რადღაცეები**
 ნაკლებია ძირითად **რადღაცებზე** **-** **1,1-ჯერ**

სტატისტიკური მონაცემების მიხედვით, „რადღაცა“ ნაცვალსახელის ბრუნვათა ფორმების ორთოგრაფიისათვის, შესაძლოა სრულად უგულებელყოფილ იქნეს „რადღამაც“, „რასღაც“, „რისღაც“, „რიღათიც“, „რითღაც“, „რადღაც“, ხოლო „რადღაცასი“ კვადრატულფრჩხილებიანი პარალელური ვარიანტის ნაცვლად ჩაიწეროს მრგვალფრჩხილებიანი პარალელურ ფორმად. რაც შეეხება, „რადღაცეები“ ფორმების დაშვება-არდაშვების საკითხს, ამასთან დაკავშირებით ისეთივე მიდგომას ვირჩევთ, როგორც წარმოვადგინეთ ზემოთ „ვიღაცები“ – „ვიღაცეები“ ერთეულების შემთხვევაში.

ლიტერატურა და წყაროები

გუგლი – გუგლის საძიებო სისტემა: <https://www.google.ge/>
თოფურია... 1998 – თოფურია ვ., გიგინეიშვილი ივ., ქართული ენის ორთოგრაფიული ლექსიკონი, თბილისი.

ნორმები 1986 – თანამედროვე ქართული სალიტერატურო ენის ნორმები, თბილისი.

ქეევი – ქართული ენის ეროვნული კორპუსი:
<http://gnc.gov.ge/gnc/simple-query?corpus=grc>

Tea Teteloshvili

On the Orthography of the Declension Forms of the Pronouns *viyaca* “Someone” and *rayaca* “Something” in Modern Georgian

Summary

A language as a changeable phenomenon conditions the need for periodical revision of the existing standards of the literary language. In order to identify the linguistic tendency, we discuss the declension forms of the indefinite pronouns *viyaca* and *rayaca* in terms of the literary language norms. We use the Georgian National Corpus and Google Search for the statistical analysis of the linguistic situation.

The statistical analysis of the material has shown that the frequency of use of the declension forms of the pronouns *viyaca* and *rayaca* in modern Georgian mainly corresponds to the contents of “The Georgian Orthographic Dictionary” although some issues still require to be clarified. In particular, it has been revealed that acceptable forms *viyacam*, *rayacam*, *rasyac*, *risyac*, *riyatic*, *riyiac* and *radyac* should be neglected as they are used very rarely. In addition, it is possible to present the forms *viyacasi* and *rayacasi* in the round brackets as the parallel ones instead of the parallel variant in the square brackets.

It should be noted that in modern Georgian colloquial speech the incorrect forms *viyacebi* and *rayacebi* are frequently used instead of the standard variants *viyacebi* and *rayacebi*. However, in this case the statistical data contradicts the phonetic and morphological principles of the language and accordingly, the issue of the change is not considered to be appropriate with respect to standardization and normalization.